



გაკვეთის და  
სოფლის მეურნეობის  
სამინისტრო

N 10103/01  
19/11/2018

10103-01-2-201811191712



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის  
პროგრამის ხელმძღვანელს ბატონ ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მიმდინარე წლის 6 ნოემბერს შემოსული თქვენი #3- განცხადებების პასუხად გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 24 ივლისს, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის მიერ მომზადებული „სურსათში ტყვიასთან ასოცირებული რისკის შეფასების ანგარიში“ შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა (24.07.2018 №6385/01; იხ. დანართი №1) სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს.

მიმდინარე წლის 20 აგვისტოს, სააგენტომ წერილობით (№09/6943; იხ. დანართი №2) აცნობა რისკის შეფასების სამსახურს, რომ ანგარიშში მითითებული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება სააგენტოს მიერ სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას.

რაც შეეხება ანგარიშში მითითებულ მე-7 რეკომენდაციას გაცნობებთ, რომ ქიმიური დაბინძურების პრევენცია საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებულია ტექნიკური რეგლამენტების - „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის 173 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით:

„2. ბიზნესოპერატორმა შეძლებისდაგვარად უნდა განახორციელოს საფრთხეების კონტროლის ღონისძიებები, კერძოდ:

ა) ჰაერიდან, ნიადაგიდან, წყლიდან, საკვებიდან, სასუქებიდან, ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატებიდან, მცენარეთა დაცვის საშუალებებიდან და ბიოციდებიდან წარმოქმნილი, ასევე შენახვის, წარმოებისა და ნარჩენების გატანის შედეგად გამოწვეული დაბინძურების კონტროლის ღონისძიებები;“ აგრეთვე , ამავე დადგენილების მე-3 მუხლის მე-10 პუნქტით:

„10. მიზანშეწონილია, ჰიგიენის კარგი პრაქტიკის განხორციელებისათვის, გათვალისწინებულ იქნეს:

ა) ინფორმაცია იმ საფრთხეებზე, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას პირველად წარმოებაში ან მასთან დაკავშირებული ოპერაციების დროს;

ბ) საფრთხეების კონტროლის ღონისძიებები, კერძოდ:

ბ.ა) საფრთხეების, მათ შორის, მიკოტოქსინების, მძიმე მეტალებისა და რადიოაქტიური ნივთიერებების კონტროლი;

კონტროლის ღონისძიება კი სხვადასხვა ბიზნესოპერატორის მიერ, ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვაგვარად, კერძოდ, დასახლებული პუნქტიდან, მაგისტრალიდან, ნაგავსაყრელიდან დაშორებით ან ქარსაცავი ზოლის მოწყობით, გაბატონებული ქარების მიმართულების, ტერიტორიის დახრილობის გათვალისწინებით და ა.შ.

ამასთან დამატებით გაცნობებთ, რომ ადრეულ წლებშიც კი, როდესაც სანიტარული დაცვის ზონების საკითხი დარეგულირებული იყო ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით, მაშინაც კი არ მოიცავდა მცენარეული პროდუქტის პირველად წარმოებას სანიტარული დაცვის ზონის არც ერთი კლასი და შესაბამისად, არ საზღვრავდა სანიტარული დაცვის ზონის სავალდებულობას.

პატივისცემით,

ნანა ჩინჩილაკაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი  
სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი